თბილისში ორგანიზებულ საარჩევნო პუნქტში ხმის მიცემა დასრულდა



აზერბაიჯანის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით იასამალის #16 მეორე საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თბილისში ნომერ 33 საარჩევნო უბანში არჩევნები ორგანიზებულად დასრულდა.
საქართველოს დროით დილის 08:00-ზე გახსნილი საარჩევნო უბანში პირველი ხმის მიმცემი აზერბაიჯანის საქართველოში ელჩი და უბნის თავმჯდომარე აზერ ჰუსეინი იყო, შემდეგ სოკარის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი მაჰიდ მამედოვი და სხვა რეგისტრირებული ამომრჩევლები იყვნენ.
ხმის მიცემა საელჩოს ახალ შენობაში ხდებოდა. უბანში აქამდე 275 ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული. ამ სიას არჩევნების პერიოდში ქალაქ თბილისში ჩამოსული აზერბაიჯანელი სტუმრები, კომპანიების წარმომადგენლები, სტუდენტები, ტურისტები და თბილისში დროებით მცხოვრები აზერბაიჯანის მოქალაქეებიც დაემატა და ამომრჩევლების რაოდენობა 435-ზე მეტი გახდა.
"რკინიგზის სერვისის" საქართველოს წარმომადგენლობის აღმასრულებელმა დირექტორმა ისმაილ სადიკოვმა განაცხადა, რომ ასეთ საპასუხისმგებლო კამპანიაში პირველად მონაწილეობს.